



ფასთა გამოკითხვა ასაფეთქებელი ნივთიერებების შესყიდვაზე

- შესყიდვის საგანი - ასაფეთქებელი ნივთიერებები
- მოთხოვნილი პროდუქციის დეტალური აღწერილობა - იხ. დანართი № 2
- შერჩეულ კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდება 6 თვის ვადით
- კომერციული წინადადებების მიღების ბოლო ვადა: 28.09.2020

1. ორგანიზატორი: Rich Metals Group

2. ფასთა გამოკითხვაში მონაწილე კომპანიები ადასტურებენ თავიანთ თანხმობას ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებით თანამშრომლობაზე და გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ უზრუნველყოფენ პროდუქციის მიწოდებას წარმოდგენილი კომერციული წინადადებისა და დოკუმენტების მიხედვით. შესაძლებელია ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის მეტად დეტალიზირება და დაზუსტება ორგანიზატორის მიერ.
3. პროცესში მონაწილეობის მსურველმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს კომერციული წინადადება
4. მონაწილემ უნდა წარმოადგინოს კომერციული წინადადება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ ენა : ქართული ან რუსული
- ✓ კომერციულ წინადადებაში წარმოდგენილი ფასი ფიქსირებული უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.
- ✓ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი კომერციული წინადადება თანმხლები დოკუმენტაციით უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ.
- ✓ კომერციული წინადადება, რომელიც არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, არ იქნება განხილული.

კომერციული წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- ✓ შემოთავაზებული პროდუქციის ღირებულება;
- ✓ გადახდის პირობები;
- ✓ მიწოდების პირობები და ვადები;
- ✓ შემოთავაზებული პროდუქციის ხარისხის სერთიფიკატი;
- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განახლებული ვერსია);
- ✓ რეკვიზიტები: ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი, საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები;
- ✓ ინფორმაცია კომპანიის გამოცდილების შესახებ;

კომერციული წინადადებები ძალაში იქნება კონტრაქტორის შერჩევის პროცესის დასრულებამდე. აღნიშნული პროცესი დასრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებები გაფორმდება მხარეებს შორის.

5. მონაწილე კომპანიის კომერციული წინადადება განხილული იქნება, როგორც საფუძველი კონტრაქტორის შერჩევის პროცესში პოტენციური პრეტენდენტის გამოვლენისათვის.
6. ანტიკორუფციული პირობები: პოტენციური პრეტენდენტი, ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში ვალდებულია დაემორჩილოს ანტიკორუფციულ პირობებს, რომლებიც წარმოდგენილია დანართში #1

7. კომერციული წინადადების ჩაბარების პირობები: კომერციული წინადადების ჩაბარების პირობები: ყველა კომერციული წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზატორის მისამართზე : ქალაქი თბილისი, მ.ალექსიძის ქუჩა #1, შესახვევი #3. წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით (კონვერტის გადაბმის ადგილი დამოწმებული კომპანიის ბეჭდით)

კონვერტზე მითითებული უნდა იყოს კომპანიის და პროცედურის დასახელება, საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი.

კონვერტი, რომელიც ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, არ მიიღება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის პროცედურების მართვის სპეციალისტი:

ლილე პირველი

T +995 579 552 051.

8. ხარჯები. მონაწილე იღებს პასუხისმგებლობას ყველა ხარჯზე, რომელიც დაკავშირებულია წინადადებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასა და წარდგენასთან და ორგანიზატორი არცერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ამ ხარჯებზე, მიუხედავად შერჩევის შედეგებისა.

9. საუკეთესო წინადადების შერჩევის კრიტერიუმები:

მონაწილეთა წინადადებების შერჩევა ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- ფასი;
- გადახდის პირობები;
- შემოთავაზებული პროდუქციის ხარისხი;
- აღნიშნულ სფეროში კომპანიის გამოცდილება და მისი რეპუტაცია ბაზარზე;
- **Rich Metals Group**-ის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებთან და პოლიტიკასთან შესაბამისობა;
- მოთხოვნილი ხარისხით უზრუნველყოფა, პარტნიორობის საფუძველზე გრძელვადიანი თანამშრომლობის შესაძლებლობა;

10. კონტრაქტორის შერჩევის პროცესის ორგანიზატორის უფლებები და მოვალეობები: ორგანიზატორი უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები მონაწილეთა მიმართ. იმ შემთხვევაში, თუკი კომერციულ წინადადებაში წარმოდგენილი იქნება არასათანადო ან არასანდო ინფორმაცია, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, გამორიცხოს ისინი შერჩევის პროცესიდან ნებისმიერ ეტაპზე. კომერციული წინადადებების განხილვის შემდეგ, ორგანიზატორი ოფიციალური წერილით აცნობებს პოტენციურ პრეტენდენტებს, ხელშეკრულების გაფორმების მიზნით მომავალ მოლაპარაკებებზე დაინტერესების შესახებ. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, არ გააკეთოს კომენტარი შუალედური თუ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ. კომერციული წინადადებების ჩაბარების ბოლო ვადამდე, არაუგვიანეს 3 დღისა, ორგანიზატორი უფლებამოსილია შეიტანოს გარკვეული ცვლილებები კონტრაქტორის შერჩევის პროცედურაში და წერილობით აცნობოს ამ ცვლილებების შესახებ ყველა მონაწილეს.

11. შედეგების გადახედვა: თუკი, თანამშრომლობის პერიოდში, რაიმე მიზეზის გამო, კონტრაქტორი ვერ შეძლებს განახორციელოს მომსახურება, რომელსაც ითვალისწინებდა მისი კომერციული წინადადება, მაშინ, ორგანიზატორს ექნება უფლება, ცალმხრივად შეწყვიტოს ან შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და შესაბამისი მომსახურების განხორციელების უფლება გადასცეს სხვა მონაწილე კომპანიას, კონტრაქტორის შერჩევის დამატებითი პროცედურების ჩატარების გარეშე.

12. დანართების ჩამონათვალი:

დანართი № 1 - ანტიკორუფციული პირობები

დანართი № 2 - მოთხოვნილი პროდუქციის დეტალური აღწერილობა



დანართი № 1

ანტიკორუფციული პირობები

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების დროს, მხარეები, მათთან აფილირებული პირები, თანამშრომლები ან/და მათი შუამავლები პირდაპირ ან ირიბად არ მიიღებენ, არ გადაიხდიან, არ შესთავაზებენ გადახდას და არ მისცემენ რაიმე სახის ფულადი სახსრებისა ან ფასეულობების გადახდის უფლებას ნებისმიერ პირებზე, აღნიშნული პირების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე ან მოქმედებაზე გავლენის მოსახდენად ნებისმიერი სახის არაკანონიერი უპირატესობის მოსაპოვებლად ან/და არაკანონიერი მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების დროს, მხარეები, მათთან აფილირებული პირები, თანამშრომლები ან/და შუამავლები არ განახორციელებენ მოქმედებას, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით კვალიფიცირებული იქნება, როგორც ქრთამის აღება/მიცემა, კომერციული მოსყიდვა, ასევე სხვა მოქმედება, რომელიც არღვევს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, რომლებიც მიმართულია კანონსაწინააღმდეგო გზით შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ.

წინამდებარე ხელშეკრულების ყოველი მხარე უარს აცხადებს მეორე მხარის თანამშრომლების რაიმე სახით სტიმულირებაზე, მათ შორის მათთვის ფულადი სახსრების, საჩუქრების გადაცემის, მათთვის უსასყიდლო მომსახურების გაწევის ან რაიმე სხვა გზით, რომელიც აღნიშნულ პუნქტში არაა მითითებული და რომელიც მეორე მხარის თანამშრომელს აყენებს გარკვეულ დამოკიდებულ პოზიციაში და მიმართულია აღნიშნული თანამშრომლის მიერ რაიმე სახის მოქმედების განხორციელებისათვის მისი მასტიმულირებელი მხარის სასარგებლოდ.

„დამკვეთი“ იტოვებს უფლებას, რომ მეორე მხარის მიერ ჩადენილი არაკანონიერი მოქმედებების ან/და წინამდებარე ხელშეკრულების ანტიკორუფციული პირობების დარღვევის შემთხვევაში მოახდინოს: კონტრაქტორთან ურთიერთობაზე გარკვეული სახის შეზღუდვების დაწესება ან/და წინამდებარე კონტრაქტის შეწყვეტა.

მხარეების აცხადებენ, რომ განახორციელებენ ყველა საჭირო მოქმედებას წინამდებარე ხელშეკრულების ანტიკორუფციული პირობების დარღვევების შესაბამისად გამოსაძიებლად და გაატარებენ ეფექტურ ღონისძიებებს გართულებებისა და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან ასაცილებლად.

მხარეები გარანტიას იძლევიან, რომ დაიცავენ სრულ კონფიდენციალურობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანტიკორუფციული პირობების შესრულების დროს და ასევე მიმართავენ ყველა ღონეს, რათა გამოირიცხოს ნეგატიური შედეგები დარღვევის შესახებ შეტყობინების განმახორციელებელი მხარის მიმართ, ასევე აღნიშნული მხარის თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც შეატობინეს დარღვევის ფაქტის შესახებ.



	დასახელება	განზომილება (ერთეული)	ყოველთვიური საორიენტაციო რაოდენობა
1	Exel MS 1000ms 6 m არაელექტრო	ცალი	3000
2	Exel MS 1000ms 8 m არაელექტრო	ცალი	2000
3	Exel MS 1000ms 10 m არაელექტრო	ცალი	300
4	Exel MS 1000ms 12 m არაელექტრო	ცალი	1000
5	Exel MS 1000ms 15 m არაელექტრო	ცალი	400
6	Exel MS 1000ms 25 m არაელექტრო	ცალი	50
7	Exel HTD 25ms 6m არაელექტრო	ცალი	2500
8	Exel HTD 42ms 6m არაელექტრო	ცალი	1800
9	Exel HTD 65ms 6m არაელექტრო	ცალი	3500
10	ფეთქი მასალის მაინცირებელი ნივთიერება (Booster) (75*200) - 1 კგ	კგ	4000
11	ფეთქი მასალის მაინცირებელი ნივთიერება (Booster) (50*225)- 0,5 კგ	კგ	1500
12	ცეცხლგამტარი ზონარი	გრძივი მეტრი	500
13	კაფსულა დეტონატორი K48	ცალი	200
16	წყალმდეგი ფეთქი მასალა (ემულსიური)	კგ	135000

➤ წყალმდეგი ფეთქი მასალა (ემულსიური) უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ ტექნიკურ მახასიათებლებს:

Standart Dimensions	Cartridge Weight
125*650 mm	10 kg

Thermodynamic Technical Propoerties	not less than
Ideal Detonation Velocity	6195 m/s
Ideal Detonation Pressure	1100570 atm
Ideal Detonation Temperature	2331°k
Velocity of Detonation at 125 mm	5000-5200 m/s
Gas Volume	990 lt/kg
Heat of explosion	3,10 mj/kg
Density	1,25-1,26 gr/cm3
Water Resistance	Excellent
Recommended using	Hard Rock Formation

- ფეთქი მასალის მაინიცირებელი ნივთიერება (Booster) უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ ტექნიკურ მახასიათებლებს:

Standart Dimensions	Cartridge Weight
50*225 mm	500 g
75*200 mm	1000 g

Thermodynamic Technical Propoerties	not less than
Ideal Detonation Velocity	6345 m/s
Ideal Detonation Pressure	119350 atm
Ideal Detonation Temperature	2502°k
Velocity of Detonation at 125 mm	5000-5200 m/s
Density	1,20 gr/cm3
Water Resistance	Excellent
Heat of Explosion	3684 kj/kg